# გოგოს ჭირიმე

[მეურმის სიმღერა]

გოგოს ჭირიმე, გოგოსი,
ჭირიმე ერთად-ერთისა,
პაწა გოგოსი, დილის მზის,
ჭირიმე იმის ღმერთისა
გოგოს ჭირიმე, გოგოსი,
ჭირიმე ლერწამ-ტანისა,
ფუნთუშა, ძუძუ-კოკობის,
ჭირიმე გულ-წამტანისა!

გოგოს ჭირიმე, რომ ღუის,
როგორც რომ თურაშაული,
პირს რად მარიდებს, იმასთან
რა მაქვს მე დანაშაული?
გოგოს ჭირიმე, გოგოსი,
ჭირიმე იმის გულისა,
იმის ჟუჟუნა თვალების,
კალამით დახატულისა!..
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
არ მეკარება გოგონა...
სხვის დანიშნული თუ არი?..
მე კი... მე ჩემი მეგონას.
ნუ მკლავ, გოგონავ, წყეულო,
ნუ ამარიდე პირია,
თავი რომ მკერდზე მოგანდო,
შენთვის რა გასაჭირია?

ნუ მომკლავ დედის-ერთასა,
ღმერთი იწამე, წყეულო,
ნუ მომკლავ, გოგოვ, ნდ მომკლავ,
ჩემს გულში შამოჩვეულო!..

1885 წ.